მეტაკარტოგრაფია: სტრუქტურა, კავშირები, ფუნქციები

თენგიზ გორდეზიანი, მანანა შარაშენიძე
e-mail:tengiz.gordeziani@tsu.ge
manana.sharashenidze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ.#3

თანამედროვე კარტოგრაფიამ დღემდე რვა კონცეპტუალური სისტემით მოაღწია. ამ კონცეფციებიდან თითოეული განსხვავებულად წარმოადგენს კარტოგრაფიის თეორიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა: საგანი, მეთოდი, ენა, მასშტაბი, კარტოგრაფიულ გამოსახულებათა კლასიფიკაციის პრინციპები, განზომილების საკითხი, კარტოგრაფიის სტრუქტურა, კავშირის წესი სხვა დარგებთან და სხვ.

კარტოგრაფიის, როგორც ლოგიკურ-მეთოდოლოგიური სისტემის ფუნდამენტურ კონცეფციათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ალ. ასლანიკაშვილის მიერ დამუშავებულ კონცეპტუალურ სისტემას - *მეტაკარტოგრაფიას.* მოსხენებაში გაანალიზებულია ამ კონცეფციის მიერ შემოთავაზებული სრულიად ახალი ხედვა კარტოგრაფიის როგორც მეცნიერებისა და ასევე ტერმინების, ცნებებისა და განსაზღვრებების ის ნუსხა, რომლების მსოფლიო კარტოგრაფიაში სწორედ ალ. ასლანიკაშვილის მიერ დამუშავებულმა კონცეფციამ შემოიტანა და დაამკვიდრა. მოხსენების ავტორის მიერ ეს კონცეპტუალური სისტემა გაანალიზებულია XXI საუკუნის გადასახედიდან.

საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია, კონცეფცია, მასშტაბი